ქ. გორი

10.01.2020 წ.

ბრძანება N 01-05

შპს მეცნიერებათა სკოლაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფრხურების ვაკანტური ადგილების შესავსებად მასწავლებელთა ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს მეცნიერებათა სკოლაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ვაკანტური ადგილების შესავსებად მასწავლებელთა ღია კონკურსის ჩატარების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს - მეცნიერებათა სკოლაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფრხურების ვაკანტური ადგილების შესავსებად მასწავლებელთა ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N12 ბრძანება.
3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმობელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის N30).

შპს მეცნიერებათა სკოლის
დირექტორი

სოფიო სუხიშვილი

405317982
SCHOOL OF SCIENCE LLC

დანართი

შპს მეცნიერებათა სკოლაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ვაკანტური ადგილების შესავსებად მასწავლებელთა ღია კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს შპს მეცნიერებათა სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამართული ღია კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაზღვრავს დასაკავებელი ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის პროცედურებს.

მუხლი 2. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია ვაკანტური ადგილის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.
2. კონკურსის ამოცანებია კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების შეფასება და ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა;

მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

კონკურსის პრინციპებია:

ა) ობიექტურობა _ კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ბ) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;

გ) საჯაროობა – კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

დ) კოლეგიურობა – კონკურსის უნდა ჩაატარდეს და ვაკანტური ადგილის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის მიერ;

ე) კორექტულობა – კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. სკოლაში ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში ვაკანსია შეივსება კონკურსის საფუძველზე. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 3-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ - www.pedagogi.ge-ზე .

3 .კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სკოლისა და კონკურსის წესით დასაკავებელი ვაკანტური ადგილის დასახელება;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები;

გ) შესასრულებელი სამუშაო;

დ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;

ე) სკოლის საკონკურსო კომისიის მისამართი (სკოლის მისამართი).

4. საკონკურსო კომისიის სხდომა ტარდება კონკურსის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური ადგილის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1. კონკურსს ატარებს სკოლის შესაბამისი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან.
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
3. კომისია კომპლექტდება სკოლის თანამშრომლებისაგან და შესაძლებელია მოწვეულ იქნას გარეშე პირი.
4. საკონკურსო კომისიას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
5.კონკურსის დროს კომისია განიხილავს თითოეულ განცხადებას. კონკურსი შედგება 2 ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე ხდება ბიოგრაფიების/CV-ების გადარჩევა. მეორე ეტაპზე კი ხდება საუკეთესო ბიოგრაფიების/CV-ების მქონე პირებთან გასაუბრება. კანდიდატს კომისია შეარჩევს წარმოდგენილი ბიოგრაფიების/CV-ების შერჩევისა და გასაუბრების გზით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს სამოდელო გაკვეთილი.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები

1. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
3. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
4. კომისია გასაუბრების დასრულების შემდეგ კანდიდატების დაუსწრებლად განიხილავს დასაკავებელ თანამდებობასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს.
5. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
6. კონკურსის შედეგების მიხედვით, სკოლის საკონკურსო კომისია თითოეულ ვაკანტურ ადგილზე სკოლის დირექტორს დასანიშნად წარუდგენს ერთ კანდიდატს, რომელთანაც სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
7. თუ კომისიამ უარი განაცხადა ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე ან ამ ვაკანტურ ადგილზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, კონკურსი ითვლება ჩაშლილად.

მუხლი 7. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის შემთხვევაში დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრეტენზიო კომისია შედგება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 წევრისაგან.
3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის წევრი.
4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.
7. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო სხდომის გამართვიდან 2 დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
9. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

მუხლი 8. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კანდიდატის მიერ კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.